



ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

პროგრამის სახელწოდება	თეოლოგია
პროგრამის დასახელება	თეოლოგიის სადოქტორო პროგრამა (მოდული ბ) საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	თეოლოგიის დოქტორი (Dr. of Theology)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხანგრძლივობა/ კრედიტების რაოდენობა	არანაკლებ 3 წელი
პროგრამის შემუშავებისა და განახლების საკითხი	პროგრამა დამტკიცებულია სამეცნიერო საბჭოზე 26/10/2020 ოქმი N88 (გაუჯობესებების მიზნით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისთვის შესაძლებელია პროგრამის განახლება).
პროგრამის ხელმძღვანელი	სერგო ვარდოსანიძე, ისტორიისა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი. sergovar@gmail.com
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
<p>თეოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე (მოდული ბ) საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია) მიღება ცხადდება რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში;</p> <ul style="list-style-type: none"> • თეოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე (მოდული ა) საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია) სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს მინიმუმ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს შემდეგი პირობებით: <ul style="list-style-type: none"> ა) ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრს თეოლოგიის, რელიგიის ისტორიის, რელიგიის კვლევების ან რელიგიათმცოდნეობის დარგში; ბ) ნებისმიერი დარგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელმაც უმაღლესი განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) დაძლია თეოლოგიის, რელიგიის ისტორიის, რელიგიის კვლევების ან რელიგიათმცოდნეობის სფეროში და მინიჭებული აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია; 	

გ) ფლობს ერთ-ერთ დასავლეთევროპულ ენას (ინგლისურს, გერმანულს ან ფრანგულს) არანაკლებ B2-ის დონეზე, ან ფლობს რუსულ ან/და ახალ ბერძნულ ენას არანაკლებ B2-ისა და ერთ-ერთ დასავლეთევროპულ ენას (ინგლისურს, გერმანულს ან ფრანგულს) მინიმუმ A2-ის დონეზე. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული მოწმობა, რომელსაც გასცემს შესაბამისი ლიცენზიის მქონე დაწესებულება, თან უნდა ერთვოდეს დოქტორანტობის კანდიდატის განცხადებას. სხვა შემთხვევაში, დოქტორანტობის კანდიდატის უცხო ენის ცოდნა დასტურდება თსას-ის მიერ სადოქტორო პროგრამაზე დაშვებისათვის ორგანიზებული უცხო ენის გამოცდის დადებითი შედეგებით.

- საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს სხვა ქვეყნის მოქალაქესაც, რომელიც ადმსარებლობით არის მართლმადიდებელი. იგი უნდა ფლობდეს მაგისტრის ხარისხს, ნებისმიერი დარგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელმაც უმაღლესი განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) დაძლია თეოლოგიის, რელიგიის ისტორიის, რელიგიის კვლევების ან რელიგიათმცოდნეობის სფეროში და მინიჭებული აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია; ასევე მას უნდა ჰქონდეს ქართული ენის შესაბამისი დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი. სხვა შემთხვევაში, დოქტორანტობის კანდიდატის ქართული ენის ცოდნა დასტურდება თსას-ის მიერ სადოქტორო პროგრამაზე დაშვებისათვის ორგანიზებული გამოცდის დადებითი შედეგებით;

- საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობისაგან გამონაკლისს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირის მიმართ ერთჯერადად ადგენს სამეცნიერო საბჭო, თუ პირის მიერ მიღებული განათლება და სამუშაო/პედაგოგიური/სამეცნიერო გამოცდილება ქმნის დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების წინაპირობას;

- საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველის განცხადებას რექტორის სახელზე თან უნდა ერთვოდეს:

ა) მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) შესაბამის დარგში აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დიპლომის დანართის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

დ) საკვლევი თემის დასახელება და დასაბუთება (შემდგომში სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ მომზადებული დასკვნა საკვლევი თემის აქტუალობის შესახებ წარედგინება სამეცნიერო საბჭოს);

ე) არსებობის შემთხვევაში - კვლევის მიმართულებიდან გამომდინარე - ნაშრომები (მატერიალური სახით);

ვ) სულიერი მოძღვრის რეკომენდაცია;

ზ) ორი ფოტოსურათი 3/4 ზომით, დისკთან ერთად;

თ) არსებობის შემთხვევაში - უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისოდ

ადიარებული მოწმობა, რომელსაც გასცემს შესაბამისი ლიცენზიის მქონე დაწესებულება.

- შემოსული განცხადება რეგისტრირდება თსას-ის კანცელარიაში და შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამის კათედრას;
- თსას-ის სამეცნიერო საბჭოს უფლება აქვს, საბუთების დაზუსტების მიზნით მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია. სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დამატებითი მოთხოვნებიც;
- საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი და დოქტორანტობის კანდიდატი განიხილავენ კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საკვლევი თემის დასახელებასა და დასაბუთებას. სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი ამზადებს საკვლევი თემის აქტუალურობის შესახებ დასკვნას, რომელიც დოქტორანტობის მსურველის განცხადებასთან ერთად წარედგინება სამეცნიერო საბჭოს;
- დოქტორანტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილ განცხადებასა და თანდართულ საბუთებზე დაყრდნობით, თსას-ის სამეცნიერო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სტატუსის მოპოვებისათვის თსას-ის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე კანდიდატის დაშვების შესახებ;
- საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების მიზნით დოქტორანტობის კანდიდატი ვალდებულია დაძლიოს თსას-ის მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები. საგამოცდო საკითხებს (პროგრამას), სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით, ამტკიცებენ შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი კათედრები;
- დოქტორანტების ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს თსას-ის სამეცნიერო საბჭო;
- თსას-ის სამეცნიერო საბჭოს მიერ დოქტორანტობის კანდიდატის ჩარიცხვაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში თსას-ის რექტორი გამოსცემს ბრძანებას;
- თსას-ის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხული პირი არის თსას-ის დოქტორანტი, რომელსაც ენიშნება შესაბამისი ცენზისა და კვლევის გამოცდილების მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელი;
- თსას-ს, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელსა და დოქტორანტს შორის იდება სამმხრივი ხელშეკრულება, რომელშიც განისაზღვრება მხარეთა ვალდებულებები და უფლებები.

სადოქტორო პროგრამის დახასიათება

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს, კვლევითი კომპონენტი - სადისერტაციო თემის შესრულებასა და კვლევით კოლოკვიუმებს;

სასწავლო კომპონენტი არ აღემატება სამოც კრედიტს და მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ეხმარება დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ნაწილებია:

ა) სწავლების მეთოდები;

ბ) აკადემიური წერა;

გ) კვლევის მეთოდები;

დ) პროფესორის ასისტენტობა - დოქტორანტი ვალდებულია, ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში. პროფესორის ასისტენტობა განისაზღვრება სპეციალური ინსტრუქციის მიხედვით, რომელსაც განსაზღვრავს დოქტორანტურის ფაკულტეტი;

ე) დოქტორანტის სემინარი - დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვამდე, დოქტორანტის სემინარის ინსტრუქციის შესაბამისად, თეორიული ხასიათის მოხსენებით ერთხელ მაინც წარდგეს შესაბამისი კათედრის/კათედრების მიერ დამტკიცებული დარგობრივი კომისიის წინაშე. დოქტორანტის სემინარის ინსტრუქციას განსაზღვრავს დოქტორანტურის ფაკულტეტი;

ვ) სხვა სასწავლო აქტივობა (მაგალითად, პრაქტიკა და სხვა სპეციალური კურსები, რომლებიც მოიცავს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სპეციალურ ან მომიჯნავე საგნებს);

ზ) სხვა არჩევითი სალექციო კურსები/აქტივობები;

თ) სასწავლო კომპონენტში შემავალი თითოეული საგანი მთავრდება გამოცდით.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ელემენტების შესრულება სავალდებულოა: სწავლების მეთოდები, პროფესორის ასისტენტობა, დოქტორანტის სემინარი. აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები სავალდებულო სალექციო კურსებია მათთვის, ვისაც დოქტორანტურისათვის აუცილებელი მოცულობისა და შინაარსის კურსი - აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები - უმაღლესი განათლების წინა საფეხურზე (მაგისტრატურა) არ დაუძლევიან;

სასწავლო კომპონენტის შინაარსობრივი სტრუქტურა განისაზღვრება სადოქტორო პროგრამით. სასწავლო კომპონენტები შეირჩევა პროგრამის ფარგლებში მოსამზადებელი დისერტაციის სპეციფიკიდან გამომდინარე;

სასწავლო კომპონენტის სემინარი გულისხმობს მოხსენებას მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო მიმართულების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი;

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კვლევითი კომპონენტი მოიცავს:

ა) დისერტაციას – სამეცნიერო ნაშრომის შესრულებას;

ბ) მინიმუმ ორ კოლოკვიუმს, რომელიც წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის ნაწილს;

ა) საკვლევი პრობლემის დასმას, აგრეთვე მის ასახვას სამეცნიერო ლიტერატურაში;

ბ) კვლევით პროექტს, მომავალი სადისერტაციო შრომის ზოგადი სტრუქტურისა და მეთოდოლოგიის ჩათვლით;

გ) კვლევის შედეგებსა და ანალიზს;

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი ვალდებულია;

ა) პრეზენტაციით წარდგეს დარგობრივი კომისიის წინაშე წელიწადში ერთხელ მაინც. პრეზენტაციები ფასდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და კათედრაზე შექმნილი დარგობრივი კომისიის მიერ;

ბ) სადოქტორო ნაშრომის შედეგები გამოაქვეყნოს მინიმუმ სამი პუბლიკაციის სახით სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული ნუსხის სამეცნიერო გამოცემებში, რომელში გამოაქვეყნებული სტატიებიც ჩაითვლება აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელ სამეცნიერო ნაშრომებად;

გ) მონაწილეობა მიიღოს მინიმუმ ერთ სამეცნიერო სემინარსა ან/და კონფერენციაში, რომელზეც წარადგენს სადისერტაციო ნაშრომის შედეგებს.

პროგრამის კონცეფცია ეფუძნება თეოლოგიის ფაკულტეტის სტრატეგიასა და თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარიის მისიას.

პროგრამის მიზნები:

თეოლოგიის სადოქტორო პროგრამის, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“ მოდულის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიკაციური მკვლევრები, რომლებიც შეძლებენ თეოლოგიისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სხვადასხვა დარგში (ეკლესიის ისტორია, საეკლესიო სამართლისა და ა.შ.) კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას. თეოლოგიის სადოქტორო პროგრამა „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში“ ასევე მიზნად ისახავს მკვლევარებს გააცნოს ის თანამედროვე გამოწვევები რაც დგას საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე და მისცეს მიმართულება იმაზე თუ როგორ უნდა შეძლონ დოქტორანტებმა სადავო საკითხებთან დაკავშირებით სწორი, ლოგიკური და სამეცნიერო არგუმენტებით მსჯელობა.

პროგრამის მიზანია მოამზადოს ისეთი მკვლევარი რომელიც შეძლებს საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობის მიღებას, რომელიც ეხება საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის საკითხებს, ასევე პროგრამა მისცემს ახალგაზრდა მკვლევარებს საშუალებას იმისას, რომ მათ შეძლონ თავიანთი ახალი სამეცნიერო იდეების გამოხატვა საერთაშორისო რეცენზირებად პუბლიკაციებში.

პროგრამა ორიენტირებულია, რომ მისი კურსდამთავრებულები ქმნიდნენ როგორც საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებული, ასევე საერო უმაღლესი სასწავლებლებისათვის მაღალკვალიფიკაციური სამეცნიერო და ინტელექტუალურ რესურსს, რომლებიც წვლილს შეიტანენ აკადემიური თუ საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლაში.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ეცოდინება და გააცნობიერებს:

- სადოქტორო პროგრამის დასრულების შედეგად მკვლევარი დაეუფლება თეოლოგიაში, სახელდობრ საქართველოს ეკლესიის ისტორიაში უახლეს მონაცემებზე დაფუძნებულ საფუძვლიან და სისტემურ ცოდნას, დისპლინის განვითარების ძირითად კანონზომიერებებს, მისი ძირითადი და ახალი კონცეფციების ურთიერთშეთავსების ნორმებს;
- თეოლოგიისა და საქართველოს ეკლესიის სფეროში სპეციფიკური საკითხის ღრმა ცოდნა;
- კურსდამთავრებულს ათვისებული ექნება კვლევის ინოვაციური მეთოდები;
- დარგის ფართომასშტაბიანი ცოდნა, რომელშიც კვლევის საგანიც მოიაზრება;
- თეოლოგიისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის რელევანტურ დარგებში თეორიების, მეთოდებისა და სადავო საკითხების სიღრმისეული ცოდნა, ასევე კვლევის სხვა სფეროებისა, რომლებიც შესაბამისობაშია კვლევის საგანთან.

უნარი

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- შეაფასოს საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემატური და საკამათო თემები და გააანალიზოს ისინი პრობლემატიკის სპეციფიკურობიდან გამომდინარე;
- დისციპლინაში დანერგილი ან დანერგვის პროცესში მყოფი უახლესი თეორიების ანალიზი და შეფასება;
- შემდგომში კვლევის ისეთი თემატიკის (საკითხების) განსაზღვრა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს თეოლოგიისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის სფეროს ცოდნის გაღრმავებასა და დებატების წარმართვაში;
- კვლევის სფეროსა და ცოდნის გაღრმავების, აღმოჩენების, ინოვაციებისა და მნიშვნელოვანი სადავო საკითხების ხელახალი გააზრება;
- კვლევის შედეგების საფუძველზე შეძლებს სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურის სინთეზირებას და წარმოადგენს დასაბუთებულ დასკვნას, რაც მისცემს კურსდამთავრებულს დასკვნების სწორად ჩამოყალიბების უნარს;
- კვლევებზე მუშაობის პროცესში შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს და ეფექტურად მართოს დრო და რესურსები, რაც მისცემს კურსდამთავრებულს საშუალებას, რომ მოახერხოს საისტორიო წყაროების, რელიგიური ტექსტების, ასევე, შესაბამისი სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება, გააზრება და გამოყენება;
- დოქტორანტურის კურსდამთავრებული შეძლებს თავისი კვლევის შედეგების პრეზენტაციასა და სხვა მეცნიერთა კვლევის სამეცნიერო ანალიზს, ასევე, აკადემიურ და ფართო აუდიტორიასთან კომუნიკაციას, სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო პროექტების შემუშავებას ან დახვეწას სამეცნიერო საქმიანობის ხელისშემწყობ ფონდებთან, შესაძლო პარტნიორებსა და დონორებთან წარსადგენად.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა :

- საქართველოს ეკლესიის ისტორიის წყაროების, მონოგრაფიებისა და საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, დამოუკიდებლად შეძლებს რეცენზირებადი საერთაშორისო გამოცემებისათვის საჭირო სტანდარტების დონეზე მოამზადოს პუბლიკაციები;
- კვლევის პროცესში განსხვავებული აზრის პატივისცემას, რაც მას დაეხმარება სამეცნიერო ეთიკისა და ნორმების დაცვის უნარების გამომუშავებაში.

სწავლის მეთოდები

პროგრამის სასწავლო და კვლევით კომპონენტში სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: ლექცია და სემინარი (ვერბალური და წერიტი მეთოდი), პრაქტიკული, წიგნზე და მასალაზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, დისკუსია/დებატები, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, კვლევის კომპონენტში ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდი და სხვ.

დასაქმების სფეროები

- საქართველოს საპატრიარქო;
- კერძო და საჯარო უამღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- თეოლოგიისა და ეკლესიის ისტორიის პრობლემატიკით დაინტერესებულ სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურები, საერთაშორისო ორგანიზაციები;
- შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები;
- შესაბამისი პროფილის საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევითი პროექტები;
- არქივი;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები, გამომცემლობები, რედაქციები.

შეფასების წესი

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ფასდება შემდეგი სისტემით (შეფასება 100-ქულიანია):

- ა) A- ფრიადი (summa cum laude) - 91-100 ქულა,
- ბ) B- ძალიან კარგი (magna cum laude) - 81-90 ქულა,
- გ) C- კარგი (cum laude) - 71-80 ქულა,
- დ) D- საშუალო (bene) - 61-70 ქულა,
- ე) E- დამაკმაყოფილებელი (rite) - 51-60 ქულა,
- ვ) FX- არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - 41-50 ქულა. მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა ნიშნავს, რომ სტუდენტს გამოცდის ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება,
- ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დაენიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ ხუთ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება შემდეგი სისტემით:

- ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი,
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება,
- გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება,
- დ) საშუალო (bene) - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს,
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს,
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი

ხარვეზების გამო,

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

„ა“-დან „ე“ ქვეპუნქტების ჩათვლით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი;

„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება;

„ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას;

მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და სადისერტაციო საბჭოს მდივანი.

სწავლისათვის აუცილებელი რესურსები

- თბილისის სასულიერო აკადემიის ბიბლიოთეკა
- საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკა
- სალექციო აუდიტორიები და პროფესორების სამუშაო ოთახები;
- არქივი
- ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

სასწავლო პროგრამის აღწერილობა

პროგრამა შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან - **სასწავლო** და **კვლევითი კომპონენტისაგან**.

სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს კრედიტების დაგროვებას კვლევასთან დაკავშირებულ კურსებში და ასისტირებაში 60 კრედიტი.

კვლევითი კომპონენტი კი უშუალოდ კვლევის განხორციელებას და დისერტაციაზე მუშაობას გულისხმობს.

№	სასწავლო კომპონენტის აღწერა:	სემესტრი						ECTS
		I	II	III	IV	V	VI	
	სავალდებულო							
1.	სწავლების მეთოდები		√					5
2.	დოქტორანტის სემინარი		√					5
3.	სამეცნიერო კვლევის მეთოდები			√				5
4.	აკადემიური წერა			√				5
5.	პროფესორის ასისტენტობა					√		5
	არჩევითი							
1.	ძველი ბერძნული ენა I	√						5
2.	ძველი ბერძნული ენა II		√					5
3.	საეკლესიო სლავური ენა I	√						5
4.	საეკლესიო სლავური ენა II		√					5
5.	საეკლესიო სამართალი (ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის კანონიკური საფუძვლები)		√					5
6.	ეკლესიის ისტორია			√				5
7.	საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან დღემდე	√						5
8.	საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია (I-XVIII ს.ს.)	√						5
9.	საქართველოს სამოციქულო ეკლესია XVIII ს–ის უკანასკნელი მეოთხედი – XX ს–ის პირველი ოცეული (1770-1917წ.წ.)		√					5

10.	საქართველოს სამოციქულო ეკლესია XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე								
11.	რელიგიები საქართველოში	√							5
№	კვლევითი კომპონენტის ჩამონათვალი	სემესტრი							
		I	II	III	IV	V	VI		
1.	საწყისი ეტაპი: სადოქტორო თემის გეგმის შედგენა. ბიბლიოგრაფიის შედგენა	√							
2.	ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილ ნაშრომთა შესწავლა-ანალიზი		√						
3.	სადოქტორო თემის მომზადების I ეტაპი			√					
4.	სადოქტორო თემის მომზადების II ეტაპი				√				
5.	სადოქტორო თემის მომზადების III ეტაპი					√			
6.	კოლოკვიუმი I				√				
7.	კოლოკვიუმი II					√			
8.	სადისერტაციო ნაშრომის დახვეწა და დაცვა						√		

- „აკადემიური წერა“ და „კვლევის მეთოდები“ სავალდებულო სალექციო კურსია მათთვის, ვისაც დოქტორანტურისათვის აუცილებელი მოცულობისა და შინაარსის შესაბამისი კურსები უმაღლესი განათლების წინა საფეხურზე (მაგისტრატურა) არ დაუძლევია.

სასწავლო და კვლევითი კომპონენტის აღწერილობა

	კომპონენტის დასახელება: სასწავლო კომპონენტის სავალდებულო	წინაპირობა	ლექტორი	საკონტაქტო საათების განაწილება	კრედიტი	სემესტრი	
						გაზაფხული	შემოდგომა
1.	სამეცნიერო კვლევის მეთოდები	არ არსებობს	პედაგოგიკის დოქტორი ავთანდილ ასათიანი	45	5	√	
2.	აკადემიური წერა	არ არსებობს	პედაგოგიკის დოქტორი ავთანდილ ასათიანი	45	5	√	
3.	სწავლების მეთოდები	არ არსებობს	პედაგოგიკის დოქტორი ავთანდილ ასათიანი	45	5	√	
4.	დოქტორანტის სემინარი	არ არსებობს	ხელმძღვანელი/ები,მომი ჯნავე დარგის/დისციპლინის პროფესორი, რომელიც ჩართულია სადოქტორო პროგრამაში	ინდივიდუალ ური	10		√
5.	პროფესორის ასისტენტობა	არ არსებობს	ხელმძღვანელი/ები,მომი ჯნავე დარგის/დისციპლინის პროფესორი, რომელიც ჩართულია სადოქტორო პროგრამაში	ინდივიდუალ ური	5	√	

არჩევითი საგნები							
1.	ძველი ბერძნული ენა I	არ არსებობს	ფილოლოგიის დოქტორი ეკა დულაშვილი	45	5	√	
2.	ძველ ბერძნული ენა II	ძველი ბერძნული ენა I	ფილოლოგიის დოქტორი ეკა დულაშვილი	45	5		√
3.	საეკლესიო სლავური ენა I	არ არსებობს	ფილოლოგიის დოქტორი ირინე კაპანაძე	45	5	√	
4.	საეკლესიო სლავური ენა II	საეკლესიო სლავური ენა I	ფილოლოგიის დოქტორი ირინე კაპანაძე	45	5		√
5.	საეკლესიო სამართალი (ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის კანონიკური საფუძვლები)	არ არსებობს	თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი გიორგი ანდრიაძე	45	5		√
7.	საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან დღემდე	არ არსებობს	თეოლოგიისა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი სერგო ვარდოსანიძე	45	5	√	

8.	საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია (I-XVIII ს.ს.)	არ არსებობს	თეოლოგიისა და ისტორიის დოქტორი პროფესორი, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე	45	5	√	
9.	საქართველოს სამოციქულო ეკლესია XVIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედსა და XX ს.-ს პირველ ოცეულში	საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია (I-XVIII ს.ს.) I	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელდარ ბუბულაშვილი	45	5		√
10.	საქართველოს სამოციქულო ეკლესია XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე	საქართველოს სამოციქულო ეკლესია XVIII ს-ის უკანასკნელი მეოთხედსა და XX სკ-ს პირველ ოცეულში	თეოლოგიისა და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი სერგო ვარდოსანიძე	45	5	√	
11	რელიგიები საქართველოში	არ არსებობს	თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი რუსუდან წიქვაძე	45	5		√

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

სახელწოდება	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
სწავლების მეთოდები	✓	✓	✓
სამეცნიერო კვლევის მეთოდები	✓	✓	✓
დოქტორანტის სემინარი	✓	✓	✓
აკადემიური წერა	✓	✓	✓
პროფესორის ასისტენტობა	✓	✓	✓
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია (I-XVIII ს.ს.)	✓	✓	
საქართველოს სამოციქულო ეკლესია XVIII ს.-ის უკანასკნელ მეოთხედსა და XX ს.-ს პირველ ოცეულში	✓	✓	✓
საქართველოს სამოციქულო ეკლესია XX ს.-ის 20-იანი წლებიდან დღემდე	✓	✓	
საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან დღემდე	✓	✓	✓
ძველი ბერძნული ენა I	✓	✓	✓
ძველი ბერძნული ენა II	✓	✓	✓

საეკლესიო სლავური ენა I	√	√	
საეკლესიო სლავური ენა II	√	√	
საეკლესიო სამართალი (ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის კანონიკური საფუძვლები)	√		
რელიგიები საქართველოში	√	√	√

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალები			
№	სახელი და გვარი	სტატუსი	ელექტრონული ფოსტა
1.	მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე)	პროფესორი	Mitropolitanania@yahoo.com
2.	სერგო ვარდოსანიძე	პროფესორი	sergovar@gmail.com
3.	ელდარ ბუბულაშვილი	პროფესორი	eldaribub@yhoo.com
4.	ირინე კაპანაძე	მოწვეული პედაგოგი	irina-kapanaelze@mail.ru
5.	გიორგი ანდრიაძე	პროფესორი	andriashi@yahoo.com
6.	ეკა დულაშვილი	მოწვეული პედაგოგი	ekadughashvili6@gmail.com
7.	რუსუდან წიქვაძე	პროფესორი	
8.	ავთანდილ ასათიანი	მოწვეული პედაგოგი	Avtandil110@gmail.com